„ვამტკიცებ“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჭადრაკის ფედერაციის
პრეზიდენტი სალომე მელია

აჭარის ჩემპიონატი ჭადრაკში 10,14,18 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის

ქ. ბათუმი, 22.04.- 28.04.2021 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ტურნირის ორგანიზატორები: აჭარის სპორტის დეპარტამენტი; აჭარის ჭადრაკის ფედერაცია.

ჩატარების ადგილი: ქ. ბათუმის კომპლექსური სასპორტო სკოლის ჭადრაკის დარბაზი. მის: გორგილაძის 91.

ჩატარების სისტემა: ჩემპიონატი ჩატარდება ფიდეს წესებით, შვეიცარული ან წრიული სისტემით 7 ტურად.

ტურნირში ფიდე-ს რეიტინგი არ დაითვლება.

აუცილებლობის შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემას განსაზღვრავს ორგანიზატორი.

მონაწილენი: საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრი ჭაბუკები და გოგონები აჭარის ყველა რაიონიდან, **დაბადებულნი 2003, 2007 და 2011 წლის 1 იანვარს და შემდეგ.**

სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.

დროის კონტროლი: თითოეულ მონაწილეს მიეცემა 60 წუთი პარტიის ბოლომდე თითოეულ სვლაზე 30 წამის დამატებით.

თაი-ბრეიქი: თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში გამარჯვებულები გამოვლინდებიან კოეფიციენტის შემდეგი სისტემით:

შვეიცარული ტურნირის დროს:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი - 1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობა;
5. მოგებების რაოდენობა.

წრიული ტურნირის დროს:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. მოგებების მეტი რაოდენობა;
3. ზონებორნ-ბერგერის კოეფიციენტი;
4. თუ ყველა მაჩვენებელი თანაბარია, ფიდეს წესების მიხედვით ჩატარდება დამატებითი მატჩები.

რეგისტრაცია:

მონაწილეებმა რეგისტრაციისთვის უნდა შეავსონ შემდეგი ანკეტა: https://forms.gle/fvsLLLZd3hMBzMgo7 ასევე, უნდა გადმოაგზავნონ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის 2021 წლის საწევროს გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი 2021 წლის 21 აპრილის 18.00 საათამდე:

ელ-ფოსტა - info@acf.ge 599 069497

რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2021 წლის 21 აპრილის 18.00 საათი.

რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.
ჩემპიონატში მონაწილეობისთვის აუცილებელია საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის 2021 წლის საწევროს (24 ლარი) შეტანა შემდეგ ანგარიშზე საიდ. კოდი: 245424704 ს.ს.'' საქართველოს ბანკი'', მფო BAGAGE22 ანგარიშის № GE95BG0000000363099200

ტურნირის განრიგი:

ტური	დღე	დრო
I ტური	22 აპრილი	დანიშვნით
II ტური	23 აპრილი	
III ტური	24 აპრილი	
IV ტური	25 აპრილი	
V ტური	26 აპრილი	
VI ტური	27 აპრილი	
VII ტური	28 აპრილი	

მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით, სამივე ასაკობრივი კატეგორიის პარტიის დაწყების დრო გადაწყდება სარეგისტრაციო ვადის ამოწურვის შემდეგ და გამოქვეყნდება 21 აპრილის 22:00-საათამდე ფედერაციის ვებ-გვერდზე - **www.acf.ge**

საერთო წესები:

ტურის დაწყებიდან 30 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.

პარტიის მსვლელობისას მობილურის დარეკვის შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.

ნებისმიერ მონაწილეს უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში, რომელიც არჩეული იქნება აჭარის ჩემპიონატის გახსნის ცერემონიაზე.

მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად აჭარის ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 20 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

გამარჯვებულები: - I, II, III საპრიზო ადგილებზე გასული მოჭადრაკეები, აჭარის სპორტის დეპარტამენტისა და აჭარის ჭადრაკის ფედერაციის მიერ დაჯილდოვდებიან მედლებით და დიპლომებით, ხოლო აჭარის 10,14,18 წლამდე ასაკის ჩემპიონი ჭაბუკი და გოგონა დაჯილდოვდება აგრეთვე თასით და მივლინებული იქნება ქ. თბილისში შესაბამისი ასაკის 2021 წლის საქართველოს ჩემპიონატზე.

არასაპატიო მიზეზით ტურნირის მიტოვების შემთხვევაში მონაწილე დისკვალიფიცირებული იქნება საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანების (#10. 20/01/2014 წ.) შესაბამისად.

კოვიდ 19 -თან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის გამო მონაწილეთა, მსაჯთა და ორგანიზატორთა ვალდებულებები რეგულირდება დანართი 1 -ით.
პანდემიური ვითარების შესაბამისად ორგანიზატორმა შეიძლება მოითხოვოს ''კოვიდ 19-ის'' ინფექციაზე ჩატარებული ანტიგენზე დამყარებული სწრაფი ტესის პასუხი, რის შესახებ მონაწილეებს ეცნობებათ დამატებით.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო დიდოსტატი სალომე მელია